ინფორმაცია სამაგისტრო პროგრამების შესახებ თსუ ვებ-გვერდისათვის

პროგრამის სახელწოდება - საერთაშორისო მენეჯმენტი (International management)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრი - MIM (Master of international Management)

პროგრამის ხელმძღვანელები

- ასოცირებული პროფესორი ჩაგელიშვილი ლალი
- ასოცირებული პროფესორი აკაკი ცომაია.

. პროგრამის მიზანი

- პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალისტები, რომლებიც იმუშავებენ სხვადასხვა მრავალეროვნულეროვნულ კომპანიებში, ადვილად შესძლებენ როგორც ბიზნეს - კომუნიკაციების დამყარებას, მსოფლიო ბაზრებზე სამამულო ფირმებისათვის მოქნილი სტრატეგიების შემუშავებას, ასევე მოახდენენ საერთაშორისო ბაზრის კონიუქტურის ადექვატურ შეფასებას, თანამედროვე ბიზნეს-ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს გლობალიზაციის ეპოქაში კონკურენტული ფაქტორების განმტკიცებასა და გამყარებას, თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას;

- **შედეგები** – საერთაშორისო მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ მუშაობისას ეთიკური ნორმების დაცვას. მათ თავისუფლად შეეძლებათ განახორციელონ დარგისათვის სპეციფიკური მიდგომები; სწავლის პერიოდში მაგისტრები დაეუფლებიან იმ უნარ-ჩვევებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი შესძლებენ სპეციფიკური და კრიზისული მოვლენების ანალიზს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მონახვას, სინთეზს და მენეჯმენტის განხორციელებაში ინოვაციური მეთოდების გამოყენებას; მულტიკულტურულ მსოფლიოში ფირმის მოქნილობის უზრუნველყოფას და სტრატეგიული პოზიციების შერჩევას. მიღებული ცოდნის საფუძველზე, თანამედრივე სპეციალისტს არ

გაუჭირდება გარემო სიგნალების მართვა, კონფლიქტების დაძლევა, ფირმის კრიზისიდან გამოყვანა და სწორი გადაწყვეტილებების მიღება.

- **დასაქმების სფეროები:** სამაგისტრო კურსის დამთავრებისა და საერთაშორისო მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მინიჭების შემდეგ, მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ბიზნეს სტრუქტურებში; ასევე მაგისტრს შეუძლია მუშაობა გააგრძელოს სამეცნიერო წრეებში. სამაგისტრო პროგრამაში აღწერილი საგნების დაუფლების შემდეგ, მაგისტრი მიიღებს დარგზე სიღრმისეულ და სისტემურ ცოდნას. მას შეეძლება მუშაობა არა მარტო დარგის, არამედ მონათესავე თეორიულ და პრაქტიკულ სფეროებში; საერთაშორისო კორპორაციებში; როგორც სამრეწველო, ისე მომსახურების სფეროების ერთობლივ საწარმოებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, სახელმწიფო აპარატში; საბანკო და საფინანსო წრეებში; სადაზღვევო კომპანებში და სხვ, სადაც ფართოდ გამოიყენებს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას.

- **მაგისტრატურაში მიღების წინაპირობებია:** კონკურსანტს უნდა ქონდეს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (სასურველია მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის დარგში); კონკურსანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.(სასურველია B დონე) კონკურსანტების მიერ ერთნაირი ქულების დაგროვების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება კონფერენციებში მონაწილეობა და საპრიზო ადგილების ფლობა. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტს ბაკალავრიატში არ აქვს მიღებული ეკონომიკური განათლება, მისთვის აუცილებელი პირობაა ეკონომიკის სფეროებში მუშაობის 1 წლის სტაჟი.

გამოცდის ფორმატი – მისაღები გამოცდა მაგისტრატურაში ჩატარდება წერითი ფორმით, საკითხების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი წესითა და ფორმატით.